

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2010 წლის 16 დეკემბრის სხდომის  
ოქმი №3

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 34. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი №1).

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის პროექტი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ უკვე განიხილა. მოგახსენებთ, რომ ცვლილება თვითონ წესში არ არის, აღნიშნულმა კომისიამ დაადგინა მისი იდენტურობა გასული წლის ბიუჯეტის წესთან მიმართებაში, ანუ იმავე პრინციპებით მოხდა 2011 წლის ბიუჯეტის წესის შედგენაც.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** როგორც ქალბატონმა ქეთევანმა მოგახსენათ, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ უკვე იმსჯელა ზემოთქმულ საკითხზე და მივიჩნევთ, რომ იგი აბსოლუტურად მისაღებია.

**სპიკერი:** თუ არ გაქვთ შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა ღ ა ო მ ე მ ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის №3 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი (იხ. დანართი 1).*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგინო საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს:

– ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან – 11085 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან – 12035 ლარი, მივლინებების მუხლიდან – 2237 ლარი, სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან – 903 ლარი, სულ – 26300 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში; ხოლო კომუნალური მომსახურების წყლის ხარჯების მუხლიდან – 300 ლარი გადატანილ იქნეს კომუნალური მომსახურების, გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების მუხლში.

**საფუძველი:** ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის 2010 წლის 8 დეკემბრის წერილი №98/79–01 (იხ. დანართი №2).

– სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან – 2580 ლარი, ხოლო სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – 420 ლარი, სულ – 3000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

**საფუძველი:** ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №10 (იხ. დანართი №3).

– ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში, არაფინანსური აქტივების, ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის მუხლიდან – 40000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №12 (დანართი №4);

– არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში საგამომცემლო ხარჯების მუხლიდან – 1000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №3 (დანართი №5);

– ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში სატრანსპორტო მომსახურეობის ხარჯებიდან – 8000 ლარი, არაფინანსური აქტივების, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან – 10000 ლარი, საწარმოო პრაქტიკის მუხლიდან – 5000 ლარი, სულ – 23000 ლარი, გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯებიდან – 1500 ლარი გადატანილ იქნეს მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №17(იხ. დანართი №6).

– სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯებიდან 40000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №13 (იხ. დანართი №9).

სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- ელექტრომომწოდებლობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის ხარჯების მუხლიდან – 22780 ლარი, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 58576 ლარი, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების ხარჯების მუხლიდან – 3434 ლარი, ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლიდან – 5677 ლარი, სატრანსპორტო მომსახურეობისა და მგზავრობის ხარჯების მუხლიდან – 8460 ლარი, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯების მუხლიდან – 4800 ლარი, ნედლეულისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან – 3124 ლარი, სუვენირების შეძენის ხარჯების მუხლიდან – 1721 ლარი, კონფერენციებისა და სემინარების ხარჯების მუხლიდან – 5000 ლარი გადატანილ იქნეს ძირითადი აქტივების მუხლში. სულ 113.572 ლარი.

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების რემონტის ხარჯების მუხლიდან 10000 ლარი გადატანილ იქნეს სპორტული ღონისძიებებისა და სტუდენტთა სოციალური პროგრამების ხარჯების მუხლში, ხოლო 5000 ლარი – ტრანსპორტის მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შექენის ხარჯების მუხლში.

საფუძველი: სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის ბ. გითოლენდიას მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართი №8).

**დავით ჯაფარიძე:** როგორც ვიცი, სამოცი ათასი ლარი ჩამოეჭრა ენერჯეტიკის ფაკულტეტს, მე არ მახსოვს ფაკულტეტის საბჭოზე ამის განხილვა. შეიძლებოდა თუ არა წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის გარეშე ამის გაკეთება?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ეს თანხა, ფაქტობრივად, რჩება ნაშთის სახით.

**დავით ჯაფარიძე:** გასაგებია, რომ ეს თანხა გადმოვიდა ცენტრალურ ბიუჯეტში და ვხარჯავთ, მაგრამ სულ ოცი ათასია ასახული და დანარჩენი ორმოცი ათასი სადაა?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** დანარჩენი ორმოცი ათასი გადადის პრემირების მუხლში.

**სპიკერი:** ქალბატონო ქეთი, ფაკულტეტების საბჭოს თანხმობის გარეშე აკეთებთ ამ თანხების წამოღებას, თუ ისინიც მსჯელობენ, იძლევიან თანხმობას და ამის შემდეგ იღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** რა თქმა უნდა, ფაკულტეტების მსჯელობისა და თანხმობის შედეგად ხდება ამ გადაწყვეტილებების მიღება.

**სპიკერი:** ქალბატონო ქეთი, სხვა ფაკულტეტზეც ხომ არაა რაიმე თანხა, რომელიც შესაძლოა პრემირების მუხლში იქნეს გადატანილი? მინდა ყველა ფაკულტეტს ჰქონდეს ამის საშუალება და რეზერვი, ამიტომ მათაც გავუწიოთ ანგარიში.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ვაპირებ, ყველა ფაკულტეტის ხარჯები პირადად გადავამოწმო და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგ სხდომაზე მოგახსენებთ.

**სპიკერი:** თუ არ არის დამატებითი შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა ღ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის №3 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები:

1.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან – 11085 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან – 12035 ლარი, მივლინებების მუხლიდან – 2237 ლარი, სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან – 903 ლარი, სულ – 26300 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში; ხოლო კომუნალური მომსახურების წყლის ხარჯების მუხლიდან – 300 ლარი გადატანილი იქნას კომუნალური მომსახურების, გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების მუხლში.

საფუძველი: ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის წერილი №98/79–01. 08.12.10 (დანართი №2);

1.2. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში სასწავლო და სწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან – 2580 ლარი, ხოლო სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – 420 ლარი, სულ – 3000 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №10 (დანართი №3);

1.3. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში, არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ობიექტური ხელსაწყოების, ავეჯის მუხლიდან – 40000 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №12 (დანართი №4);

1.4. არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში საგამომცემლო ხარჯების მუხლიდან – 1000 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №3 (დანართი №5);

1.5. პუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – 8000 ლარი, არაფინანსური აქტივების, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან – 10000 ლარი, საწარმოო პრაქტიკის მუხლიდან – 5000 ლარი, სულ – 23000 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში; ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯებიდან – 1500 ლარი გადატანილი იქნას მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №17 (დანართი №6);

1.6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯებიდან 40000 ლარი გადატანილი იქნას პრემირების მუხლში. საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №13 (დანართი №9);

1.7. სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1.7.1. ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის ხარჯების მუხლიდან – 22780 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 58576 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების ხარჯების მუხლიდან – 3434 ლარი; ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლიდან – 5677 ლარი; სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების მუხლიდან – 8460 ლარი; კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯების მუხლიდან – 4800 ლარი; ნედლეულისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან – 3124 ლარი; სუვენირების შეძენის ხარჯების მუხლიდან – 1721 ლარი; კონფერენციებისა და სემინარების ხარჯების მუხლიდან – 5000 ლარი გადატანილი იქნას ძირითადი აქტივების მუხლში. სულ 113.572 ლარი;

1.7.2. შენობა ნაგებობებისა და მოწყობილობების რემონტის ხარჯების მუხლიდან 10000 ლარი გადატანილი იქნეს სპორტული ღონისძიებებისა და სტუდენტთა სოციალური პროგრამების ხარჯების მუხლში, ხოლო 5000 ლარი ტრანსპორტის მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯების მუხლში.

საფუძველი: სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულბთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის, ბ.გითოლენდიას მოხსენებითი ბარათი (დანართი №8).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – თბილისში, ს. ეულის №3-ში მდებარე საწარმოო კორპუსში არსებული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსის, პროფ. თ. ბაციკიძის წერილი გახლავთ საფუძველი არსებული ფართობების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც სტუ-ს უზუფრუქტით აქვს გადმოცემული და ზოგ შემთხვევაში საწარმოო ან საოფისე საქმიანობის მიზნით უნდა გაიჯარდეს. ჩამონათვალი ამ ფართობებისა მოცემული გაქვთ (იხ. დანართი №7) და თუ თქვენი თანხმობა იქნება, მოვიწვევთ აუდიტს, რომელიც შეაფასებს მათ და შემდეგ ჩავატარებთ აუქციონს გასაიჯარებლად.

პროფ. გივი გოლეთიანი: სტუ-ს შემოუერთდა რამდენიმე სხვა ინსტიტუტი, რომლებსაც ფართობები აქვთ გაიჯარებული, ჩვენ გვაქვს რამე სამსახური რომელიც აკონტროლებს მათ სწორ გაიჯარებას?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** რეორგანიზაცია ინსტიტუტებისა, რომლებიც შემოგვიერთდნენ მიმდინარე წელს, უკვე დაწყებულია, რადგან არსებობს ამ საკითხზე მთავრობის დადგენილება, მაგრამ მათი შენობები უზუფრუქტით ჯერ გადმოცემული არ არის. ამიტომ დღეს ამის შესწავლის უფლება არ გვაქვს.

**სპიკერი:** აღნიშნული 13 ინსტიტუტის შემოერთება სტუ-ს მდგომარეობას გააუმჯობესებს?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** 2011 წლის განმავლობაში ეს ფაქტი, სავარაუდოდ, არ გააუარესებს ჩვენს მდგომარეობას, რადგან სახელმწიფო გეპირდება ერთი წლით მათ დაფინანსებას. ხოლო გაუმჯობესების თვალსაზრისით მეტია შესაძლებლობა, რადგან ზოგი ინსტიტუტი მომგებიან მდგომარეობაშია. მათ გააჩნიათ საერთაშორისო პროექტები და გრანტები და, შესაბამისად, გარკვეულ თანხებს ისინი გადმორიცხავენ ცენტრალურ ბიუჯეტში.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის №3 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი თბილისში, ს. ეულის №3-ში მდებარე საწარმოო კორპუსში არსებული ფართობების იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

*სტუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:*  
– დამტკიცდეს თბილისში, ს. ეულის №3-ში მდებარე საწარმოო კორპუსში არსებული ფართობების იჯარით გაცემის საკითხი, თანდართული სიის მიხედვით.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი